გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ქეგლის პირდაპირ, თავ. კრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—189 3



**ივანე ეგნატეს ძის პოლტარაცკის** გარდაცვალების წლის თავზედ, კვირას, ამ თთვის 12-ს, ჯერ ტფილისში, ამაღლების ეკკლესიაში, დილის 11 საათზედ იქნება გარდახდილი პანაშვიდი და შემდეგ სოფ. ოქროყანაში.

**ნადეჟდა ზაქარიას ასული პოლტარაცკისა** შვილებითურთ აუწყებს ამას ნათესავთა და ნაცნობთ (1—954—1)

კვირას, ამ თთვის 12-ს, წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში, ჩუღურეთში, გარდახდილ იქნება წლის წირვა **მარიამ ნიკოლოოზის ასულის ზაალიშვილის** მოსახსენებლად. **დედა ამისი მარიამ გრიგოლის ასული ზაალიშვილისა** და **ძმა ივანე ნიკოლოოზის ძე ზაალიშვილი** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა დაესწრნენ ამ წირვას. (1—953—1)

## სასწავლებელი და პანსიონი

## ჯორჯიკიასი

(ქუთაისი)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეძლებიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შევვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში). (5—5)

კვირას 19 სექტემბერს, დილის 11 საათზე თავად-აზნაურთა ბანკის სადგომის დარბაზში მოხდება

**წლიური კრება**

ქართველ დრამატიულ საზოგადოების წევრთა.

საგანნი განხილვისა:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა
2) მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა
3) ამორჩევა კომმისიებისა.
4) ამორჩევა ახალთა წევრთა.


## ტფილისი

11 სექტემბერს

კახეთის განაპირას, სოფ. საცხენისს, დაარსებულია კარგა ხანია ორ-კლასიანი სკოლა თავად აზნაურობის შვილთათვის.

ეს სკოლა იმ ზომამდე გადასაკეთებლად და გასაახლებლად შეიქმნა, რომ სამოსწავლო უწყებამ გამოითხოვა ამას წინად სკოლის შენობის შეკეთებისათვის 47 ათასი მანათი. მთავრობამაც შეიწყნარა ეს თხოვნა, მაგრამ განზრახვა კავკასიის სამოსწავლო უწყებისა ვერ აღსრულდა, რადგანაც ამ საგნისათვის ერთხელ გადაწყვეტილი საჭირო ფული სწავლა-განათლების სამინისტრომ ვერ გადასდო.

ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ, თელავის მაზრის უფროსის თაოსნობით, ზემოხსენებულ სკოლის ბედი ასე მოწყობილა: ყვარელს მიურთმევია კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველისათვის ქაღალდი და სთხოვს, საცხენისის სკოლა, თუ შეიძლება, ყვარელში იქმნას გადმოტანილიო. თავის მხრით ყვარლელები ჰპირდებიან დაუთმონ სკოლას 84 დღიური მიწა, რომელზედაც აგებულია სახელმწიფო შენობა და რომელშიაც დაეტევა 800 კაცი. ეს შენობა წინად ჯარის სადგომი იყო და ეხლა-კი სრულიად უქმად არის. ამას გარდა სოფლის საზოგადოება დაჰპირებია სამოსწავლო უწყებას, ოღონდ-კი სკოლა გადმოიტანეთ და ჩვენ ყოველს მუშაობას სკოლის შენობის შეკეთებისათვის ნახევარ ფასად ვიტვირთებთო. სოფელს უკისრია აგრედვე გადმოტანა ყვარელში საცხენისიდამ სკოლის ყოველ ავეჯეულობისა უსასყიდლოდ.

ამაზე კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველი ბ-ნი იანოვსკი დასთანხმებია ყვარლელებს და უთხოვნია უმაღლესის მთავრობისათვის, ნება მოგვეცით ზემოხსენებული სკოლა საცხენისიდგან ყვარელში გადმოვიტანოთო.

ეხლა ეს საქმე, რომელიც ამდენს ხანს აწუხებდა კახელებს, აქ სასურველად გადაწყდა და, ეჭვი არ არის, სამინისტროც ვერავითარს დაბრკოლებას ვერ ჰნახავს, რომ შუამდგომლობა კავკასიის სწავლა განათლების მზრუნველისა შეიწყნაროს, მით უმეტესს, რომ სკოლაც უკეთესს მდგომარეობაში ჩავარდება და 47 ათასი მანათი ხარჯიც მთავრობას თავიდგან ასცილდება.

კახეთიდგანვე გვატყობინებენ, რომ ამ სკოლასთან, რომელიც იქმნება ორ-კლასიანი უნდათ დააარსონ სამეურნეო განყოფილებაცა. დღევანდელი საცხენისის სკოლა დაარსებულია მხოლოდ თავად აზნაურთა შვილთათვის და ისიც 110 ყმაწვილისათვის.

რაიცა შეეხება საჭირო ცვლილებასა, რომელიც, ჩვენის აზრით, უნდა მოხდეს ამ სკოლაში, თავის დროზე გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს. მანამდის-კი ვისურვებთ ამ კეთილსა და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს ყოველ-გვარი წარმატება მისცემოდეს.

მეველე

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

აგვისტოს 9-ს დილით სამხედრო საავადმყოფოში ორი ავადმყოფი იყო. რკინის გზის საავადმყოფოშიაც ორი და ერთიც თავის სახლში.

ხუთშაბათს ავად გახდა კადეტების კორპუსის დიაკვანი და მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

ამავე დღეს მორჩა თავის სახლში ერთი ავადმყოფი.

ტფილისის გუბერნია

გორის მაზრაში სოფ. ხაშურში სექტემბრის 8-ს ავად გახდა კიდევ ერთი კაცი.

ტფილისის მაზრის, სოფ. ახალ სოფელში ხოლერა მოისპო.

ქუთაისის გუბერნია

სენაკის მაზრაში სექტემბრის 1-ს ორი ავადმყოფი იყო და ორივენი მორჩნენ.

## ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, სექტემბრის 9-ს, სახალხო მატარებლით აბასთუმნიდგან დაბრუნდა ტფილისის გუბერნატორი თავადი შარვაშიძე.

*** სოხუმის ეპისკოპოსი აგათოდორი სექტემბრის 9-ს ტფილისში ჩამოვიდ.

*** გუშინ, სექტემბრის 10-ს, ბაქოს მატარებლით ტფილისს ჩამოვიდა ბუქარის ემირის მემკვიდრე პრინცი, რომელსაც რკინის გზის სადგურზე მიეგება ტფილისის პოლიცმეისტერი. პრინცი გუშინვე კავკავის გზით პეტერბურგს გაემგზავრა.

*** ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის იატაკის დაფენა უკვე დაამთავრეს და კვირას ამ თთვის 12 კიდეც აკურთხებენ. მწირველი იქნება მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ორშაბათს, 13 სექტემბერს, დანიშნულია პირველი კრება ახალის საბჭოსი. უკვე იბეჭდება კიდეც სია საქმეთა, რომელნიც განხილულ უნდა იქმნენ ამ კრებაზედ. საბჭოს, სხვათაშორის, მოეხსენდება სარჩიელი ქალაქის მოურავის მოადგილისა მასზედ, რომ კანდიდატი გამგეობის წევრისა დარჩეს თავის ადგილზედ, ვიდრე გათავდება არჩევანი ახალ გამგეობის წევრთაო.

*** როგორც ისმის, ამ მოკლე ხანში ქალაქის მეექვსე განყოფილებაშიაც გაიმართება ღარიბთათვის სასადილო. მოთავენი ამ საქმისა არიან ხსენებულის განყოფილების სასანი-

## ფელეტონი

### მონოპოლისტები და ბირჟის ბატონები

(წერილი ლონდონიდამ)

მარტო საფინანსო და საპოლიტიკო საქმეებში არ არიან მეთაურნი ეხლანდელი პლუტოკრატიის წევრნი, რომლებთანაც შედარებით ისტორიული კრეზი მთელის თვისის აღურიცხველის სიმდიდრით სწორედ საბრალო ღატაკი იყო. ლიტერატურა, ხელოვნება, მოდა, გემოვნება და თვით დედათა სათნოებაც-კი იმათ ემსახურება, იმათ სურვილისა და ჟინის დასაკმაყოფილებლად არსებობს. მერე რა ზნეობის გამათახსირებელია ამ გამდიდრებულთა, ნახევრად განათლებულთა და მოუხეშავ ადამიანთა უმეტესობა!!.

ხომ გახსოვთ, მკითხველო, მოთხრობანი იმის შესახებ, ძველ რომის დაცემის დროს ქვეყანა თუ რა უგუნურს მდიდრულს ცხოვრებას მიეცა? ლუკულის ნადიმები, რომელიც თავისს მეგობრებს ბულბულის ენით უმასპინძლდებოდა ხოლმე? მაგრამ ეხლა ბულბულისა და იადონის ენა რა დიდი რამ ბედენაა, ყოველგან მოიპოვება და ამითი ვერავის გააოცებთ. სხვა, უფრო უცნაური და საკვირველი რამ არის საჭირო ხალხის გასაოცებლად. და აგერ, ერთი შეძლებული კაცი, მთელს პარიჟში ცნობილი Toto, თავისს საუცხოვო სასახლის დარბაზში ნადირობასა ჰმართავს ცხელის ქვეყნების იშვიათ პაწაწა ფრინველებზედ. ავსტრალიიდგანა და ბრაზილიიდგან ასობით მოჰყავთ ეს საუცხოვო და ერთი ნამცეცა ჩიტუნიები და 75,000 მანეთამდე იხარჯება გაწებივრებულ მდიდარის კაცის ჟინის მოსაკლავად... სამაგიეროდ „მთელი პარიჟი“—tout Paris—იმაზედ-ღა ლაპარაკობს, ის არის დღევანდელ ლაპარაკის გმირი. ჩვენთვის, უბრალო სიკვდილის შვილისათვის, ასეთი ნადირობა ბარბაროსობად მისამჩნევია და ერთი ბეწო სიამოვნებასაც-კი ვერ აგრძნობინებს ადამიანს, თუ ეს ადამიანი საღია და ცხოვრება მოძაგებული არა აქვს, მაგრამ სიცარიელესა და უგუნურებას შორის, იქ სადაც ხალხი ისე ღარიბია გართობა-სიამოვნებასა და თამაშობის სხვა-და-სხვაობის მხრივ, ასეთი ნადირობა სწორედ სამაგალითო ამბავია, თითქმის გენიოსობაა. მერმე იცით რამდენად ღარიბნი არიან გართობა სიამოვნების მხრივ ეს ცხოვრება-მოძაგებულნი ადამიანი? ნიუიორკში მთელს ზამთარს საუცხოოდ დართული ქალები და ვაჟები თავს მოიყრიდნენ ხოლმე მდიდრულს დარბაზში, სადაც ელექტრონის შადრევანებიც-კი იყო, და... საპნის ბუშტებს ჰაერში უშვებდნენ. საპნის ბუშტი ნამდვილი სიმბოლოა აწინდელის წარმოებისა... ამ ზაფხულს-კი იგივე უუმაღლესი საზოგადოება ნიუიორკისა და ბოსტონისა, ვითომ ზღვაში ვბანაობთო, ბრილიანტით დართული, ტიტველი ცეკვავდა და დახტოდა ქვიშაზედ... ნუ თუ ეხლაც ითქმის, რომ გენიოსი არ არისო გართობა-სიამოვნების მოგონების მხრივ Toto!

ნუ-კი ეგონება მკითხველს, ვითომ მე ყოველსავე ვაზვიადებდე და სატირასა ვწერდე. აბა ყური დაუგდეთ Daily News-ს, აწინდელ სამინისტროს გაზეთს, რას ამბობს იგი ერთის ნადირობის ღირებულობის შესახებ.

„ლორდი იარბორიო,—სწერს გაზეთი 1892 წლის 25 აგვისტოს,—ის ლორდი, რომელსაც საკუთარი ხროვა ჰყავს ძაღლებისა მელაზედ სანადიროდ, იმ აზრისაა, რომ ინგლისში 330-მდე ხროვაა ძაღლებისა, რომელთა შენახვაც 414,850 გირვანქა სტერლინგი ჯდებაო. ყოველ ხროვით ორთა შუა რიცხვით 100 კაცამდე ნადირობს, თითო კაცს სამ-სამი ცხენი სჭირდება, სულ-კი 20,000 ცხენი, რომელთა შენახვაც 3,500,000 გირვ. სტერ. ჯდება. ამ გვარად მარტო ნადირობაზე ინგლისში, თუნდა ეტლები, წასვლა-მოსვლა და სხვა. რომ არ ვიანგარიშოთ, იხარჯება—4,500,000 გირვან. სტერლ.“ სტერლინგი თითქმის ათი მანათია კურსით, მაშასადამე, 330 ძაღლების ხროვაში პატრონი ჰხარჯავს 45 მილიონს მანათს. ეს ფული ერთი-ორად მეტია შვეიცარიის სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვაზედ, რადგან შვეიცარიას 1892 წლის ხარჯთ-აღრიცხვით 69 მილიონი ფრანკი ხარჯი ჰქონდა.

თუ მარტო ნადირობა ამდენი ჯდება, რა უნდა დაიხარჯოს ას და ათას გასართობ ნავებსა და ხომალდებზე, რომელიც კერძო კაცთ ეკუთვნის? ინგლისისა, შეერთებულ შტატებისა და საფრანგეთის ზღვები და წყლები სავსეა ასეთის ნავებითა და გემ-ხო-

ტარო მზრუნველი ბ-ნი ბალდასაროვი, ექიმი ტერ-ასატუროვი და იჯარადარი მირზოევის აბანოსი სუქიასოვი. ამათ ჰსურთ გამართონ იაფი სასადილო, სადაც სადილი ეღირება ექვსი კაპეიკი. მდიდრებს შეუძლიანთ იყიდონ სადილის ბილეთები და დაურიგონ ღარიბ ხალხს.

⁂ ტყიბული: დღეს, 6-ს სექტემბერს, ბ-ნ ნოვოსელსკის ქვის ნახშირის მადანში გაზმა მოჰკლა მღვიმე-მაღაროში ერთი მუშა, ხოლო მეორე ცოტათი დაშავდა.

⁂ საჩხერე: ამას წინად აქ გამოვიდა ბრძანება და კიდევაც მტკიცედ და შეუცვლელად სრულდება, რომ კვირა-უქმე დღეს ავადმყოფთათვის გამართულ სახლში ავადმყოფმა არ გაიაროსო. აქედგან რასაკვირველია, ჩვენ ეს დასკვნა გამოვიყვანეთ: კვირა-უქმე დღეს ავად არავინ გახდეთო. მაგრამ ვიდრე უბრალო სოფლის ხალხი ამას გაიგებდა, ბევრი აწყდებოდა ტყუილ-უბრალოდ ამ სახლში კვირა-უქმე დღეს და უკანვე ბრუნდებოდა. ეხლა-კი, მადლობა ღმერთს, კვირა-უქმით ერთს ავადმყოფსაც ველარ ვხედავთ აქ.

⁂ ჭიათურა, 5 სექტემბერს: შარშან ქვა-გუნდის მწარმოებლებმა დაარწმუნეს მცხოვრებლები, რომ ქვა-გუნდის მტვერი ხოლერის ბაცილებსა ჰკლავსო და სადაც ქვა-გუნდია, იქ ხოლერა ვერ მიეკარებაო. საუბედუროდ, წელს ხოლერამ შიგ ქვა-გუნდის მადანში იჩინა თავი და პირველად შავად გამურული გლეხი დასცა ძირს. ეს გლეხი, როგორც ამბობენ, ჭიათურას არ გაშორებია და არ იციან, საიდან და როგორ შეხვდა მას ხოლერა. დღეს რამდენიმე კაცია ჭიათურაში ხოლერით ავადმყოფი. როგორც ნამდვილ ცნობებიდან სჩანს, დღემდის ათზე მეტია მკვდარი. ვისაც შეხვდა, ჯერ არც ერთი არ გადარჩენილა. ამბობენ, ჭიათურის რკინის გზის ლიანდაგზე უფრო მეტი ხდებიან ავადაო. თუმცა ხოლერა ასე მკაცრად იქცევა, მაგრამ ხალხი, რომელიც შარშან უბრალო ხმაზედ გარბოდა და იმალებოდა, წლეულს გულ-გრილად შეჰყურებს, არც-კი სჯერა, თუ ეს ხოლერა არის და არხეინად დაბრძანდება და მუშაობას იმ ადგილებში, სადაც ხოლერით იხოცებიან.

⁂ ქუთაისი: სამეურნეო სკოლის შენობა უკვე ააგეს და ავეჯითაც მოაწყვეს. სწავლა მალე დაიწყება. სულ მიღებულ იქმნება სახელმწიფო ხარჯით ორმოც-და-ხუთი მოსწავლე. ამათ გარდა გარეშე მოსიარულე შეგირდებსაც მიიღებენ. სკოლას წელიწადში მოუნდება 15 ათას მანეთამდე.

⁂ ტყაჩირი (იმერეთი): გვალვამ მეტად შეგვაწუხა. გვალვის გამო აქედ ძალიან ნაკლები მოსავალი მოგვივიდა. სხვა-და-სხვა ავ-კაცობამ ხომ სული გაგვიმწარა. ერთს ხანს მოვისვენეთ და ბოროტ-მოქმედნი ალაგმულ იქმნენ, მაგრამ ახლა კვლავ იჩინა თავი ავ-კაცობამ.

⁂ სამტრედია: 9 სექტემბერს, ღამის 3 საათზე 45 წ., საქონლის მატარებელმა 70 ვერსზე გასრისა რკინის გზის ლიანდაგის უფროსი მუშა გაიოზ ჭანტურია.

## შემოწირულობა

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდგან ბ-ნ ნიკო მაღრაძის-მიერ შეგროვილი რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ 42 მანათი.

აი სია შემომწირველთა:

დ. ზ. გაბაშვილისამ 3 მან., ვ. ა. იაროსლავისამ 3 მ., პასიკო მატარაძისამ 1 მ., ა. ს. ბენაშვილმა 3 მან., მ. ფ. ფხაკაძემ 2 მან., მ. რ. კვალიაშვილმა 2 მ., ა. ბ. გორგაძემ 2 მან., დ. ი. ჩიმაკაძემ 2 მ., პ. გ. კვიცარიძემ 1 მ., დ. ს. ლუკიანოვმა 1 მ., ა. დ. სულაქველიძემ 1 მ., ქ. გ. ჯაჯანიძემ 1 მ., მ. გაგარეიშვილმა 1 მ., დ. ი. დათოშვილმა 1 მ., ქ. ნ. უგრელიძემ 1 მ., ა. ა. იაროსლოვმა 1 მ., კ. ღ. მაღრაძემ 1 მ., მღ. ნ. კუბანეიშვილმა 1 მ., მღვ. ნ. ხუციევმა 1 მ., ი. ი. გაბაშვილმა 1 მ., ი. გეორგაძემ 1 მ., ად. დ. ბუკუჩავამ 1 მან., იაკობ ჩიმაკაძემ 1 მ., გ. ხახაუშვილმა 1 მ., ალ. ლორთქიფანიძემ 1 მ., ილ. ა. მატარაძემ 1 მ., მეთ. გუმშანეიშვილმა 1 მან., სპ. ა. მატარაძემ 1 მ., ეკ. ბ. ლამბაშიძემ 50 კაპ., ივ. ობოლენსკიმ 39 კ., ნ. კუპრაშვილმა 45 კ., ნ. ა. სოგინისამ 22 კაპ., ნ. რ. მაღრაძემ 4 მ. და 46 კაპ.

ამ ფონდისა გვქონდა 182 მან. 20 კაპ., ეხლა შესდგა 222 მან. 20 კაპ.

## დამაკვირდი

ოდესმე სიმძიმე წიგნებისა ათვერსებდა ცოდნის წარმატებას, ეხლა-კი მათი გარდამეტებული სიუხვე ჰრევს და ასუსტებს აზრის თვით მოქმედებას,

ვებერი

**

გულსა გვტკენს არა ხმა-მაღალი საყვედური, არამედ სამართლიანი.

შილლერი

**

ჭკვიანია კაცი, ვიდრე ეძებს ცოდნას, მაგრამ იფიქრებს თუ არა, ვპოვე ცოდნაო, მაშინვე ჭკუიდამ იშლება.

არაბული ანდაზა

## კორრესპონდენცია

**დარუბანდი.** მთელი დარუბინდი, გარდა მოხელეებისა, ბაღოსნობით სცხოვრობს. ზღვის პირას დაცემულ ვაკეზედ ხავერდივით გადაშლილია ბოსტნები და ზვრები, რომელნიც 24 ვერს. მანძილზეა გაჭიმული ქალაქის სამხრეთად. აქაური ბოსტნეულობა მიდის ბაქოს, ასტრახანსა და სხვა ქალაქებში, აქაური ღვინო იყიდება რუსეთში. აქ ღვინოს აყენებენ რუსები, სომხები და ებრაელები, თათრებს-კი, რომელთაც დიდძალი ვენახები აქვთ, ღვინის დაყენება ცოდვათ მიაჩნიათ; ყურძენს ისინი მარტო საჭმელათ თუ გაჰყიდიან, თორემ ღვინის დასაყენებლად არავის არ მიჰყიდიან, რადგანაც დიდ ცოდვად სთვლიან, თუ იმათის ყურძნიდგან სხვამ ვინმემ ღვინო დააყენა. ამ შემცდარს აზრს მოლები უქადაგებენ თათრებს. ეხლა წარმოიდგინეთ, რა ტყუილ-უბრალოდ იკარგება ამდენი ყურძენი, რომლის შენახვაც არც-კი იციან. ლპება დიდ-ძალი ხეხილი, ფუჭდება ბოსტნეულობა...

საშველი მხოლოდ ერთი-ღა დარჩენილა: აქაურებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ ხეხილის და ბოსტნეულობის შენახვა. აი, სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება აქაურმა პოლიცმეისტერმა, რომელმაც ამ ცოტა ხანში მაშინა დაიბარა და თან მცოდნე კაციც მოიწვია. ოსტატი მშვენიერად აშრობს მაშინის შემწეობით ყურძენს, ვაშლს, მსხალს და სხვა. ასე გაშინჯეთ, ვაშლის გული და ნათალიც-კი არ იკარგება. მაგრამ მკვიდრთა უმრავლესობა უფრო-კი, საკვირველია, თათრობა უგულოდ ეკიდება ამ საქმეს. ამიტომ პოლიცმეისტერს განზრახვა აქვს ეს მაშინა გადასცეს აქაურს სასწავლებელს იმ იმედით, რომ სასწავლებელმა იქნება უფრო უკეთ გამოიყენოს და ყმაწვილებს სწავლასთან ერთად ასეთი სასარგებლო საქმეც შეასწავლოსო.

დარუბანდელ-ქართველი

## სიყვარული

(კატულ მენდესი)

### I

გაზაფხულია. უთვალავის ფერადყვავილებით აჭრელებულია მინდორი, მთა, ბარი. დედამიწა კეკლუც პატარძალსავით მოკაზმულია და ადამიანის სულსა და გულს იტაცებს. მზის სხივები ოქროს ფრად აპრჭყიალებს ქვეყანას, ჰაერი გაჟინთულია სასიამოვნო სურნელებით. მერცხალი ჰყივის, მკალი ჰრიჭინებს, ყოველი სულდგმული მოძრაობაშია, ქვეყანა გაღვიძებულია.

### II

აგერ გზაზე მიდის ახალგაზდა, მშვენიერი ჭაბუკი. ეს-ეს არის დაუტოვებია თვისი მყუდრო ბინა და საწოლი, სადაც თავს დასტრიალებდა ტკბილი, ბავშური სიზმრები... მისი ყვავილოვანი და ნათელი სიყმაწვილე გაზაფხულს შეედარება... ქორფა სისხლი უდუღს და უჩუხჩუხებს. მიხტის და მიცქრიალებს, გვერდით მისდევს ღმერთა გულის-თქმათა, მშვენიერებისა და სიყვარულისა. მისი სახე დაღვრემილია... თვალებში ეხატება ზიზლი ქვეყნიერებისა... ყმაწვილს არ ახარებს გაზაფხული...

### III

ჩუ!.. ეს რა ხმაა?!. ჯაჭვი ჩხრიალებს!... ეს პატიმარია, დარაჯებს მიჰყავთ შორს, უცხო და ყრუ ქვეყანაში. „რა ამბავია, რას ნიშნავს ეს?“ ეკითხება შეშინებული ჭაბუკი. „მითხარი, რა დანაშაულება მიგიძღვის?! რა ცოდვებმა მიგიტყუეს, ან რად დაიღუპე ყვავილოვანი სიყმაწვილე?.. მითხარი, არ გავამჟღავნებ შენს საიდუმლოს“.

— მიყვარდა, — უპასუხა პატიმარმა.

### IV

გაუდგნენ გზას... აგერ გლახაკი მოდის; გახრეცილი ტყავის ჩანთა აქვს გადაკიდებული და ლუკმა პურს თხოულობს. ჭაბუკმა გაკვირვებით შეხედა და უთხრა: „რისთვის დაგიწყვია მათხოვრობა? ნუ თუ მუშაობა აღარ შეგიძლიან? მითხარი, რამ დაგღუპა და დაგაგლახავა?“

— მიყვარდა! — მწარე ღიმილით უპასუხა გლახაკმა.

### V

გაუდგნენ თავის გზას... კიდევ მოდის ვიღაც გამხდარი, გაყვითლებული და დაუძლურებული. ფეხებს ძლივ-ძლივობით მიათრევს. ეტყობა დიდი სნეულია. ჭაბუკი განცვიფრებით ეკითხება: „რა დაგმართნია, საწყალო? რისთვის უნდა იტანჯო აგრე ამ საშინელის სნეულებით? მითხარ, უბედურო, რა შემთხვევამ დაგიკარგა სიმრთელე?“

— მიყვარდა, — უპასუხა მგზავრმა ხველებით...

### VI

ჩუ! თოფი გავარდა... მისმა ხმამ საზარლად დაიგრიალა ხეობაში. ვიღაცამ ტყვია დაიცა გულში და აგერ მახლობლად ყანაში გდია. „როგორ გაბედე? რად მოისპე ღვთისაგან მონიჭებული სიცოცხლე? რა ნება გქონდა, საზიზღარო? სიცოცხლე ხომ წილად გარგუნა ბედმა? მაგრამ იქნება ცხოვრების სუსხმა შემოჰკრა და იმედები გაგიცრუა, საბრალოვ?“ — ეუბნება გაფითრებული ჭაბუკი.

— მიყვარდა! უპასუხა მომაკვდავმა.

### VII

ჭაბუკს წკრიალა და მხიარული ხმა ჩაწყდა... სახეზე დაღვრემილება გამოეხატა. გზა-დაბნეულ ბავშვივით

---

მალდებით, რომლის პატრონებიც მხოლოდ იშვიათად სარგებლობენ, ისიც მაშინ, თუ ქეიფი და სურვილი მოუვლით. ამასთან ნუ დაივიწყებთ, რომ ამ შეძლებულთათვის ნავ-გემების შეძენა ისევე სავალდებულოა, როგორც ის, რომ ეტლი უნდა ჰქონდეს და საუკეთესო მხატვრები და ძვირფასის სურათებით მორთული ოთახი, თუმცა მხატვრობისა არა გაეგებათ-რა და პატარა ტენიერის ნახატი მესონიეს ნახატისაგან ვერ გაარჩევენ და რუბენსისას მურილიოსისაგან... ასევე სავალდებულოა მდიდარი წიგნთ-საცავების გამართვა, თუმცა იშვიათად მათგანი თუ კითხულობს რასმე, პაწია სახუმრო ვოდევილებსა და მცირე შენიშვნებს გარდა.

როცა ადამიანს ხელთ მილიონები და მილიარდები უჭირავს, ხარჯვაში ანგარიშის უნარსა ჰკარგავს. ამასთან თავადისა და თვით მეფის გვარისანი როგორ მივლენ. ამ ორის წლის წინად იტალიის დედოფალმა მარგარიტამ ერთს მაღაზიაში ბაფთანაკერი კაბა დააფასებინა და ვერ იყიდა-კი, მეტად ძვირია და ჩემი შეძლება ვერ იტანს მაგრეთს ხარჯსაო. ქ-ნი მაკკეი-კი მილიონებსა ჰფანტავს იმისთანა ბრილიანტის დიადების სასყიდლად, როგორიცა აქვს დედოფალს ვიქტორიას. ამ მდიდართა ცოლები და ქალები მარტო კაბებისა და სხვა ტანისამოსის სასყიდლად ერთს ზაფხულს, ან ზამთარს 75,000 და 100,000 ობითა ჰხარჯავენ. ამათ ახლა ის შემოიღეს წესად და ჩვეულებად, რომ წვეულობის დროს კოტილიონში მოცეკვავე ქალებს, თაიგულების მაგიერ, ძვირფასს საჩუქრებს ურიგებენ. გინდა თუ არა, ყველა ბალისა და საღამოს გამმართველი იმათ უნდა აჰყვეს და წაეძოს, თორემ „რიგიანი საზოგადოება“ ზურგს შეაქცევს და ვერც ერთს საკომერციო და საპოლიტიკო საქმეს ველარ მოახერხებენ. ლონდონსა, პარიჟსა და ნიუ-იორკში უბრალო ბალიც-კი, ამ შეძლებულთა მიერ გამართული, 12,500 და 15,000 მან. ჯდება. აშკარაა, რაკი ასეთის ბალების გამართვა წესად არის დადებული, ყველა თავ-მომწონე და საზოგადოებაში მსურველი ტყავს იძრობს, რომ თითონაც ისე წვეულება გაჰმართოს, როგორსაც „ქვეყანა“ ჰმართავს. დედათა ნამუსი და უმანკოება, პოლიტიკური კეთილ-სინიდისიერება, პატიოსნება, ყოველივე სხვერპლად იწირება, ოღონდ-კი არ ჩამოვრჩეთო ამ ახალს კანონ-მდებლებს, ამათს მარაქაში გავერიოთო. მთელს ქვეყანას აქვს გაგებული და შეტყობილი მოქრთამეობა ამერიკის საზოგადო და საპოლიტიკო მოღვაწეთა-მოქრთამეობას ბრალს ტყუიალდა სდებენ დაწესებულებათა უვარგისობას. მიზეზი ამ მოქრთამეობისა, თუ არის რამე, ისევ ეს უგუნური აყოლაა სიმდიდრის და თავ-დაუჭერელი, წრეს გადასული ხარჯი. არამც თუ დეპუტატისა, სენატორისა, და მოსამართლეს, მინისტრის ჯამაგირითაც-კი ძნელია სულ მცირე სალონის გამართვა და ეს სალონი-კი ყოველმა მათგანმა უნდა გამართოს, თუ არა უნდა ქვეყანაში გამოერიოს...

აი ასეთი გავლენა აქვს საზოგადოებაზედ ამ მეტის-მეტს სიმდიდრეს. როცა ელისეის მინდორსა და ჰაიდ-პარკზე გამივლია და მინახავს იქ მოსეირნედ ეს ბედის ნებიერნი, რამდენჯერ გამკვირვებია და ქება და დიდებით გამიხსენებია სიმტკიცე და ზნეობრივი სიფაქიზე, ღარიბ და ლამაზ ქალებისა, რომელნიც ამ სიმდიდრეს არ დაჰხარბებიან, დაუცავთ თვისი პატიოსნება და თვისი ნამუსი ამ სიმდიდრისთვის არ გაუყიდნიათ. ასეთმა ლამაზმა და ნორჩმა ქალმა, — და ლონდონი-კი სავსეა ასეთის ქალებით, — ხვალვე მოინდომოს-კი იმასაც ასეთივე ეტლი ექმნება და ასეთივე ძვირფასი ტანისამოსი ეცმის და ასეთსავე გრძნობს და ბრილიანტებით მოირთვება. მერე რამდენი წრეა საზოგადოებისა, რომელთა ქალებიც აინუნში არ აგდებენ ამ სიმდიდრეს. ამ ოქროს მბრძანებელთ ჯერ ვერ მოუხერხებიათ განათლებულ კეთილშობილთა, მეცნიერთა და მუშათა სინიდისისა და უმანკოების ყიდვა. მაგრამ სადაც-კი იმათმა გავლენამ ფეხი მოიკიდა, იქ სიცალიერე, ცხოვრების მოძაგება და უსირცხვილოება ჰმეფობს. ამ სიტყვების დასასურათებლად ერთის ამ ოქროს მეფეთა ამბავს გიამბობთ და ამითი დავაბოლოვებ ჩემს წერილს.

ამ რამდენისამე წლის წინად პარიჟისა და ვენის ყველა კეთილშობილთა და შეძლებულთა სალონში ძალიან ევლებოდნენ თავს ერთს ამერიკელს. ეს ამერიკელი დიდად უზრდელი, ბრიყვი და გაუთლელი იყო, მაგრამ ფულს ფეტსავითა ჰფანტავდა და ეს საკმარისი იყო, რომ საფრანგეთის უკეთილშობილესს ქალებს იმისი გაუთლელობა არად ჩაეგდოთ და ცოდვად არ ჩაეთვალათ.

ვენაში ამ შეძლებულმა კაცმა საქვეყნოდ დაიკვეხნა და სანაძლეო დასდო, რომ პარიჟის რომელი ქალიც გინდათ დამისახელეთ და, საცა მინდა, იქ დავიბარებო. ერთი დიდად კეთილშობილი, საფრანგეთის დიდ ოჯახთა სასიქადულო და თავ-მოსაწონებელი ქალი დაუსახელეს. ვინც უნდა იყოს, სულ ერთიაო, სთქვა ამ ბერი-კაცმა: შეიძლება ეგ ქალი ასი ათასი მანეთი, მილიონი დაჯდეს, მაგრამ ორის დღის უკან მაინც აქ იქნებაო.„ და მართლაც, ორის დღის შემდეგ ის ქალი ვენაში იყო...

ამითი დავაბოლოვოთ ჩვენი წერილი და დავანებოთ თავი საუბარს იმ ქვეყნის შესახებ, სადაც პატიოსნება და ქალის სათნოება ოქროზედ ისყიდება.

W.

აქეთ-იქით იყურება... თვალებში ცრემლი უბრწყინავს. სული ამღვრეული აქვს მწარე ფიქრებით... ნაღვლიანის თვალებით უცქერის ყმაწვილს ღმერთა მშვენიერებისა.

VIII

„მშვიდობით, ბავშვო,—წასჩურჩულა მან,—დაბრუნდი შენს მყუდრო ბინაზედ, სადაც არ არის არც სიყვარული, არც განცხრომა, არც დამატკბობელი სურნელება, არც ჩიტების გალობა და არც გაზაფხულის სიმშვენიერე. სადაც ბავშური უცხო სიზმრები ისე გატკბობდა და საამურად გაძინებდა“... მაგრამ ჭაბუკმა გაბედვით შეხედა, თვალი თვალში გაუყარა და ასე უპასუხა:

— მეც მინდა მიყვარდეს!..

კასკა

## რუსეთი

15 აგვისტოდამ 21 აგვისტომდე რუსეთში გამხდარა ხოლერით ავად 2,189 კაცი და გარდაცვლილა 863; 22 აგვისტოდამ 28-მდე ავად გამხდარა 1574 კაცი და გარდაცვლილა 731. სულ ავად გამხდარა 3763, გარდაცვლილა 1594 კაცი.

პეტერბურგში 30 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე ავად გამხდარა 122 კაცი და გარდაცვლილა 43.

—

1 სექტემბერს იყო პეტერბურგში კრება „საზოგადოებისა რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის შემწეობისათვის“. ბ-ნმა კაზიმ კრებაზედ წაიკითხა მოხსენება: განვაგრძოთ თუ არა სატამოჟნო ბრძოლა გერმანიასთან და ან, თუ მოვურიგდეთ, რა პირობით უნდა მოვურიგდეთო. ბ-ნმა კაზიმ განმარტა ისტორია რუსეთის სატამოჟნო პოლიტიკისა და სთქვა, რომ 50-ან წელთა შემდეგ ამ უკანასკნელ 10 წლამდე ჰმოქმედობდა ისეთი ტარიფი, რომელიც პროტექციონისტებს მცირე ტარიფად მიაჩნდათ რუსეთის წარმოებისა და მრეწველობის მფარველობისათვის. დიდი შეცდომა იყო, რომ საზღვარ გარეთიდამ ვიბარებდით იაფ თუჯს, იაფს რკინეულობასა და იაფ რელსებს ჩვენის რკინის გზებისათვის. ისა სჯობდა, რომ ას მილიონობით მეტი დაგვეხარჯნა, ოღონდ-კი გვეკეთებინა და გვეშენებინა ჩვენი საკეთებელ-საშენებელი საკუთარის რკინით, რუსეთის ქარხნებში მომზადებულითაო.

მომხმარებელნი მაშინ დიდს სიხარულში იყვნენო, განაგრძო კაზიმ, რომ იაფად შოულობდნენ ათასგვარ საჭირო მასალას, უცხოეთიდამ მოტანილს, სამხედრო და ზღვათა სამინისტრონი ჰგონებდნენ, რომ დიდი სარფაა ასე იაფად რომ გვიჯდება ჯარისა და ფლოტისათვის უცხოეთიდამ დაბარებული საჭირო ნივთი და ავეჯიო; ხვნა-თესვა და მეურნეობა, ძლიერდებოდა-რა თანდათან, აკმაყოფილებდა შინაურს მოთხოვნილებასაცა და საზღვარ-გარეთის მუშტარსაც; მრეწველობა 25 წლის განმავლობაში 1857—1882 წლამდე საკმაოდ გაძლიერდა.

წარმატება რუსეთის მრეწველობისა საქვეყნოდ შემოწმებულ-აღიარებული 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე, პროტექციონისტების აზრით, უფრო შესამჩნევი იქმნებოდა, ჩვენს საეკონომიო პოლიტიკას რომ საფუძვლად დასდებოდა 1857 წლის აზრი, რომელზედაც დამყარდა ტარიფი 1891 წლისა.

ჩემის აზრითაო, სთქვა კაზიმ, დასავლეთ ევროპის მრეწველობამ დიდად წაიწია წინ სწავლა-ცოდნის გავრცელების მეოხებით. ამიტომ, თუ გვინდა მოცილეობა გავუწიოთ ევროპის მრეწველობას, ჩვენც ამ გზით უნდა ვიაროთ, მაგრამ ეს გზა შორი გზაა და დიდხანს მოვუნდებით მის მოვლას. ბევრად ადვილ და სასწრაფო საქმედ იქმნა მიჩნეული მომატება ბაჟისა იმ საქონელზედ, რომელიც საზღვარ-გარეთიდამ მოდის ჩვენში. პირველად, 80-ან წელთა შემდეგ იქმნა მცირეოდნად მომატებულ ბაჟი ზოგიერთის საქონლისა, მაგალითად, ნავთისა, რკინისა, ფოლადისა, ქვა-ნახშირისა; 1891 წელს-კი ბაჟი მოემატა ბევრს სხვა საქონელსაც. 1891 წლის ტარიფი ამ სახით, ჩემის აზრითაო, იყო განხორციელება წესიერისა და ჭეშმარიტის საეკონომიო პოლიტიკისა, იყო ერის სურვილის გამარჯვება თავისუფალ აღებ-მიცემის უნაყოფო საკოსმოპოლიტო სისტემაზედაო.

ბ-ნი კაზი შეეხო ბოლოს საბაჟო ომს გერმანიასა და რუსეთს შორის და, რასაკვირველია, ვერ დამალა, ვერ უარ-ჰყო, რომ რუსეთი დიდს ზარალს ჰნახავს, რაკი გაუქმდება მისთვის ბაზარი გერმანიისა; მაგრამ ეგ ზარალი, ჩემის აზრით, სათქმელიც არ არის იმ ზარალთან, რომელიც მოგვივიდოდა, უკეთუ ბაჟს შევამცირებდით გერმანიის საქონლისათვისაო. არა, მაინც, რასაკვირველია, მშვიდობა სჯობს ჩხუბსა და ამიტომ მე წინააღმდეგი არა ვარ გერმანიასთან მორიგებისა, ოღონდ იმ პირობით-კი, რომ ჩვენმა ტარიფმა არ უღალატოს 1891 წლის ტარიფის დედა-აზრსაო.

დასასრულ. მოხსენების ავტორმა ურჩია კრებას, ვსთხოვოთ ფინანსთა მინისტრს, რომ სწორედ 1891 წლის ტარიფის საფუძველს ნუ შევსცვლით და ისე მოვურიგდეთ გერმანიასაო. ბ-ნ კაზის შემდეგ ექვსმა სხვა ორატორმა კიდევ ილაპარაკა, მაგრამ არც ერთს სიტყვაც არ ამოუღია მის წინააღმდეგ.

საწყალ მომხმარებელთათვის-კი, რომელნიც, ამოდენა ბაჟის შემოღების გამო, მეტს იხდიან ერთს ფუთს ქვის-ნახშირში შაურს, რკინაში, მანათსა და კიდევ მეტს, ფუთ შაქარში—4 მანათს, ფუთ ბამბის ფარჩა-ქსოვილში—40 მანათამდე, შალეულში—70 მანეთამდე და სხვანი, კრინტიც არავინ დასძრა. ბ-ნ კაზის პროექტი, ასე და ასე ვიშუამდგომლოთო, ერთხმად იქმნა შეწყნარებული, რაიცა წინ-და-წინვე უნდა გვცოდნოდა, რადგანაც ზემოხსენებულ საზოგადოების ტენდენციები პროტექციონიზმის თვისებისა არავისთვის ახალი ამბავი არ არისო, ამბობს გაზ. Р. Вѣд..

—

ახლად შეკრებილ ცნობებით სჩანს, რომ რუსეთში არსებობს 1,600 სკოლა, რომლებთანაც დაარსებულია სახელოსნოები.—ფინლანდიის სკოლებში ამ წლიდგან შემოღებულ იქმნა სწავლება რუსულის ენისა.

—

რუსეთის ერთს გაზეთში დაბეჭდილია: ქალაქ ტამბოვში ახირებული ღონის-ძიება უხმარიათ თურმე ნედოიმკის გარდასახდელად. წასულა პოლიცია ქალაქის განაპირა ქუჩაზედ ხარჯის მოსაკრეფად. მცხოვრებლებმა, როგორც ყოველთვის, განაცხადეს, ჯერ ფული არა გვაქვს, ამ დღეებში ვიშოვით და მოგართმევთო. მაშინ მოხერხებულმა წარმომადგენელმა ადმინისტრაციისამ უბრძანა პოლიციელს, სამოვრებიდგან ონკანები (კრანტი) ამოიღე და თან წამოიღეო. ჩამოიარეს მთელი ქუჩა და პოლიციელს 60—80 ონკანი შეუგროვდა სამოვრისა.

—

იმ სამეურნეო ფერმების და მამულების მმართველთ, სადაც არსებობს სამეურნეო სკოლები, უფლება მიეცათ იჯარით გასცენ ხოლმე ამ ფერმების ცალკე ადგილები, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ჯერ ნება-რთვა სთხოვონ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. ამ იჯარებისაგან შემოსული ფული უნდა მოჰხმარდეს სამეურნეო სკოლების გამართვას სახელმწიფო ფერმებსა და მამულებში.

რუსეთის პოეტ ლერმონტოვზედ ჟურნალი Рус. Архивъ-ში დაბეჭდილია მარტინოვის წერილი, რომელსაც დუელი ჰქონია პოეტთან:

პოეტი იყო ტან-დაბალი, ფეხმრუდე, დიდ-თავა, მეტად ჩასხმული, მასთანავე მარდი და ძარღვ-მაგარი. პირისახე მიმზიდველი ჰქონდა. თვალები როგორღაც გაშტერებული ეჭირა, როცა მშვიდად იყო, ხოლო როცა ბავშური ცელქობა ან სხვა რაიმე გულის თქმა გაიტაცებდა და აღელვდებოდა, თვალები ისე აუთამაშდებოდა, რომ თვალის კაკალი ერთ წამს არ გაუჩერდებოდა. ამისთანა ჩემს დღეში არა მინახავს-რა. მე დამეღლებოდა ხოლმე თვალი, როცა იმის თვალის კაკალს დავაცქერდებოდი. თმა შავი ჰქონდა, ხოლო თხელი და შუბლზედ თეთრი ქოჩორი; შუბლი მაღალი, კბილი თეთრი მარგალიტისავით. ცხენზედ კარგად იცოდა ჯდომა, ხოლო არ უხდებოდა-კი, რადგანაც შესაფერი ტანადი არ იყო. ვერ იყო კარგი ჯარის-კაცი, რადგანაც ამისათვის არ შესწევდა იგივე ტანადობა და ჯარის უფროსი ყოველთვის სტუქსავდა ხოლმე.

## პოლიტიკა

ავსტრიის იმპერატორმა ფრანც-იოსებმა რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო დალია 30 აგვისტოს და ამის გამო გაზეთი Pester Lloyd-ი ამბობს:

უწინარეს ყოვლისა ეს სადღეგრძელო საერთაშორისო ზრდილობით არის გამოწვეული. ხოლო იმპერატორმა სთქვა: აღდეგრძელოს „ჩემი ძვირფასი მეგობარიო“. ეს სიტყვები იმას მოასწავებს, რომ რუსეთისა და ავსტრიის სამეფო სახლთა შორის კეთილი ურთი-ერთობა სუფევს. უკვე ვიცით, რომ გრაფ კალნოკიმ დელეგაციების სესსიაზედ გამოაცხადა, დამოკიდებულება ავსტრიასა და რუსეთს შორის განკარგდა და იმედია, თუ სამუდამოდ არა, კარგა ხანს მაინც შეთანხმდებიან ორთავ სახელმწიფოს ინტერესებიო. იმპერატორის ფრანც-იოსების სადღეგრძელო იმის ნიშანია რომ ეს შეთანხმება თავის მშვიდობიანობის გზით მიდის. ეხლა, როდესაც საფრანგეთი, მეტად გატაცებული „რევანშის“ (სამაგიერო) სურვილით იმედით რუსეთს სათაყვანოდა ჰხდის, ავსტრიის იმპერატორის სადღეგრძელო იმას მოასწავებს, რომ შტო ფრანგ-რუსთა ძმობისა ძალიან მაღალი ვერ გაიზრდება, თვალსაჩინოდ ვერ გაიფოთლება.

## უცხოეთი

რუსეთის ესკადრის მისვლის გამო საფრანგეთში, გაზეთ Figaro-ს შემდეგი წერილი დაუბეჭდია ქ-ნ ადანისა:

არა გსურთ, ფრანგთა დედანო, დანო და მეუღლენო, გაუგზავნოთ რუსთა დედათ, დათა და მეუღლეთ სახსოვარი რუსეთის ესკადრის მოსვლისა ჩვენს საყვარელს სამშობლოში? ეს სახსოვარი მცირეა, ხოლო ძვირფასი-კი და წარმოადგენს ორს შტოს myosotis-ის ყვავილისა ზედ წარწერით: „კრონშტადტ-ტულონი“. ვთხოვ საფრანგეთის ყველა ქალებს ამ ყვავილების შესაძენად ხელის მოწერით ქალაქსა და სოფელში კომიტეტები დაარსონ, განურჩევლად დასისა, შეძლებისა და სარწმუნოებისა. უფრორე ვსთხოვ ახალგაზდა მოსწავლეთ სკოლა-პანსიონებისას, რომელნიც ეხლა საზაფხულოდ დათხოვნილნი არიან. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ხელის მოწერაში, ვსთხოვ ატაროს გულზედ ორი შტო myosotis ყვავილისა, როცა რუსეთის ზღვაოსნები საფრანგეთში იქმნებიან.

—

რუსეთის ესკადრის მისვლის გამო საფრანგეთში საზღვარ გარედ კიდევ ბევრი მითქმა-მოთქმაა. ბერლინის გაზეთი Vossische Zeitung ამბობს, რომ რუსეთის ესკადრის სადარბაზოდ მისვლას საფრანგეთში სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვსო.

ეს დარბაზობა ისე გერმანელთ არ უნდა ეწყინოთ, როგორც ინგლისელთაო. საჭიროა მოვიგონოთ, რომ 1891 წელის ზაფხულში ადმირალი ჟერვეს ესკადრა მივიდა კრონშტადტს და მხოლოდ ეხლა, ორის წლის შემდეგ, უხდის რუსეთი სამაგიერო პატივისცემას, თუმც საფრანგეთი ორის წლის განმავლობაში ძალიანა სცდილობდა, რომ რუსეთს მალე გარდაეხადა ეს დარბაზობა. ეს დარბაზობა გავრში-კე არ მოხდება, რომელიც უფრო ახლოა პარიჟზედ, არამედ ტულონში; რუსეთის ესკადრა კრონშტადტიდგან-კი არ იგზავნება, არამედ ამერიკიდგან. ეს თითქო გზად გავლაა და იმასა ჰნიშნავს, რომ საფრანგეთის ნავთ-სადგურის ნახვა-კი არა სურთ, არამედ ხმელთა-შუა ზღვაში შესვლა. რუსეთი ემზადება მეტოქედ გაუხდეს ინგლისს აზიაში და ამას წინად მოახერხა კიდეც, რომ საფრანგეთი თავს დასცემია სიამს. საფრანგეთის გამარჯვება სიამის საქმეში რუსეთის პოლიტიკის გამარჯვებას მოასწავებს.

—

გერმანიის ერთს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი მოსაზრება შესახებ გერმანიისა და ავსტრიის ალლუმების სამხედრო - საპოლიტიკო მნიშვნელობისა: სამთა კავშირის პოლიტიკა მიმართულია ევროპაში მშვიდობიანობის დაცვისათვის; რადგანაც ნევასა და სენას ნაპირებზედ აღმოჩნდა პან-სლოვენური და ულტრა-პატრიოტული მისწრაფებანი, მეტი არ იქმნება ვსთქვათ, რომ შუაგულ ევროპის კავშირი შესძლებს ჯეროვანი ძალა მისცეს თავისს სურვილს მშვიდობიანობის დაცვისას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიისა და ავსტრი-ვენგრიის ალლუმებს. ეს ალლუმები საზღვარზედ მდებარე ადგილებში გაფრთხილებას ნიშნავს და იმედია ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ პარიჟსა და პეტერბურგშიო.

—

**საფრანგეთი.** პარიჟის ქალაქის საბჭომ უკვე შეიმუშავა პროგრამმა დღესასწაულებისა რუსეთის ზღვაოსანთა პატივსაცემად. დღესასწაულობა ორ დღეს გასტანს: პირველ დღეს გაიმართება დიდი ნადიმი; შემდეგ სტუმრებს მიიწვევენ საგანგებოდ გამართულ აივანზედ ქალაქის საბჭოსთან, სტუმრების წინ გაივლის კორტეჟი ჩირაღდნებით. მერე გაიმართება კონცერტი. მეორე დღეს დანიშნულია სეირნობა პარიჟში და ბალი. ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ სთხოვეს რკინის გზების საზოგადოებათ, დანიშნულ იქმნას სამხიარულო მიმოსვლა მატარებლებისა ტულონსა და პარიჟს შორის პროვინციელ ჟურნილისტებისთვის შემცირებულ ტარიფითაო. რკინის გზათა სამმართველოებათ თანხმობა გამოაცხადეს. პარიჟსა და ტულონს გარდა საფრანგეთის ყველა კუთხეებიდგან ისმის ხმები დღესასწაულების გამართვისა რუსეთის ზღვაოსანთა პატივსაცემად. დღე ყოველ ათას ნაირი პროექტი იბადება. ერთი ამ პროექტთაგანი პოეზიასაც-კი არ არის მოკლებული: ამ პროექტით ტულონსა და პარიჟს შუა მთელი გზა მორთული უნდა იქმნას რუსეთისა და საფრანგეთის ბაირაღებით.

—

**ფრანგები.** სხვათა შორის რუსეთის ესკადრის თანადასწრებით გამოსცდიან წყალში ნაღმის ამფეთქებელს ახალს ნავს და ზღვაში ჩაუშვებენ ჯავშნიან გემს „Jureguiberry“-ს, გაზეთები იმედოვნებენ, ხმელთაშუა ზღვაზედ საფრანგეთისა და რუსეთის შეერთებული ფლოტი საკმარისად ძლიერი და მომზადებული იქმნება ყოველგვარ შემთხვევისთვისაო.

—

**ინგლისი.** რუსეთისა და საფრანგეთის დღესასწაული, როგორც ეტყობა, ინგლისსა და იტალიის მხრივ დემონსტრაციებს გამოიწვევს. რუსეთის ესკადრის ტულონში მისვლის დროს იტალიაშიც მივა ინგლისის ესკადრა, რომელიც დაივლის იტალიის სადგურებს: ნეაპოლისა, ჩივიტავეკიისა, ლივორნოსა, სპეციას და გენუისას. ნეაპოლში დიდის ამბით აპირებენ დაუხვდნენ ინგლისის ესკადრას. ამასთანავე იტალიის ოფიციალური გაზეთი ამბობს, რომ ინგლისის ესკადრის მოსვლას დიდი კავშირი აქვს იტალიის მუდმივ ესკადრის ხელახლად დაარსების საქმესთან ხმელთაშუა ზღვაშიო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ამ დღეებში ისპანიის დედოფალი ეტლით მიდიოდა სან-სებასტიანოს. ასტიგარატას ახლოს თვალი შესწრო რკინის გზის ლიანდაგზედ მიმავალს პატარა ქალსა და იმ წამსვე დაინახა

მამაკალი მატარებელიც. დედოფალი წამსვე გადმოხტა ეტლიდგან, დაეწია უმაწვილს და ლიანდაგიდგან გადმოიყვანა ძლივს მოასწრო, რომ მატარებელმაც საჩქაროდ გამოიარა.

## გამოსადეგი ცნობანი

რისთვის ხმარობენ ნიშადურს შინაურობაში. ნიშადური სხვა-და-სხვა ნაირად იხმარება. რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტისა, თბილ წყალში არეული, სატუალეტო წამალია კანის დასარბილებლად.

წყალში მცირედ არეული ნიშადურის სპირტი ლაქას ამოიყვანს ტანსაცმელითგან; ამისათვის უნდა დასველდეს დალაქავებული ადგილი, დაედოს ზედ თეთრი გამჟვანი ქაღალდი და ცხელ უთოთი დაუთოვდეს.

ზეთით დალაქავებულს ადგილს უნდა ნიშადურის სპირტი წაესვას და მერე წყლითა და საპნით ამოირეცხოს.

ნიშადური და სკიპიდარი ერთად არეული დიდის ხნის ზეთიან საღებავით დალაქავებულ ადგილსაც გაასუფთავებს.

კარისა და ფანჯრის ჩარჩოების ჩამოსაწმენდ-ჩამოსარეცხად ერთი კოვზი ნიშადურის სპირტი უნდა აირიოს ერთს თუნგ წყალში. ამავე წამლით რომ მოისხუროს ხალიჩა, და მერე გაიწმინდოს, კარგად გასუფთავდება. იწმინდება აგრეთვე კარისა, ფეჩებისა და სხვა სახლის სამკაული, ლითონისაგან გაკეთებული.

ფლანელი რომ ჩაასველონ ერთ კოვზ სპირტით შეზავებულ სამს თუნგ წყალში, სრულიად გასუფთავდება, თითქო ახალიაო, და, როცა გაშრება, არ შეჯდება. ამავე წამლით კარგად იწმინდება ოქრო და ვერცხლეული.

## სამეცნიერო ნაწილი

იტალიელს ნასწავლს მღვდელს ქსავერი დი-კვარაგი ტანდინის განზრახვა აქვს თურმე სთხოვოს რუსეთის მთავრობას იულიანეს ძველი სტილი ახალზედ შესცვალეთო, ამ განზრახვით მიუმართავს რუსეთის მთავრობისთვის და უთხოვნია, ნება მომეცით რუსეთში მოვიდე და ამ საქმის შესახებ მოველაპარაკო რუსეთის სასულიერო და საერო უწყების მსწავლულებსაო. რუსეთის მთავრობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა, პირველად იმიტომ, რომ ასეთი საქმე მთელ მართლმადიდებელ აღმოსავლეთმა უნდა განიხილოსო და მეორეც, ეს საქმე შინაური საქმეა მართლმადიდებელთა და უცხო კაცი ამ საქმეში არ უნდა გაერიოსო. მღვდელს ტანდინის მაინც მისცეს ნება მოვიდეს რუსეთში, მაგრამ როგორც კერძო კაცი და არა ბოლონის აკადემიის წარმომადგენელი.

—

გაზეთი Н. В. იუწყება, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭოში 1893—94 წ. იქმნება 65 პროფესორი. ამ საბჭოს მიემატება კიდევ 70 პრივატ-დოცენტი; ამათში 24 ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტისა, 13 იურისპრუნდენციისა, და 6 აღმოსავლეთ ენებისა. 8 ლექტორი, პროზექტორი და 26 მცველი კაბინეთებისა. ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზედ წაიკითხავენ ლექციებს: პრივატ-დოცენტი ბულიჩი—„შესავალი მუსიკის ისტორიისა“; პრივატ-დოცენტი ვეინბერგი—„ისტორია დრამატიულ ლიტერატურისა“. იურისპრუდენციის ფაკულტეტზედ პროფესორები და პრივატ-დოცენტები წაიკითხავენ ლექციებს: პრივ.-დოც. ადამოვიჩი—„ნოტარიატი რუსეთში“, სვეშნიკოვი — გერმანიის კონსტიტუციის შესახებ“, დიმშა—„სახელმწიფო წეს-წყობილება ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში“, პროფესორი ვედროვი—„ისტორია პოლიციისა“, პრივატ-დოცენტი იაროცკი—«ისტორია საეკონომიო მოძღვრებათა და სამეურნეო სისტემათა». სტატისტიკების პრაქტიკულ გაკვეთილების მეთაურად იქმნება პრივატ-დოცენტი ხოდსკი. სექტემბერში დაიწყებენ პირველად ლექციებსა რამდენიმე პრივატ დოცენტი. უნივერსიტეტში 2,000 სტუდენტზედ მეტია.

# დეპეშა

9 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია ერთგვარი ტარიფი საქონლის გადატან-გადმოტანისა ყველა რკინის გზებით რუსეთში. ტარიფი შემოღებულ იქმნეს 1 ოქტომბრიდგან.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელმმა, გაიგო თუ არა, რომ თავადი ბისმარკი მძიმედ არის ავად, თანაგრძნობა გამოუცხადა თავადს და შეუთვალა, ერთ-ერთ საიმპერატორო სასახლეში გადმოდი საცხოვრებლადაო. ბისმარკმა გულითადი მადლობა გადუხადა იმპერატორს, ხოლო საცხოვრებელი ადგილის გამოცვლაზედ, ექიმის შვენინგერის რჩევით, უარი განაცხადა.

**ლონდონი.** ინგლისის მისსიის მისვლა ავგანისტანში: კიბერგის მეთაურთა დარაჯნი რომ უკან დააბრუნეს მისსიის მცველობა ავგანის ჯარს ჩაბარდა. მისსია დღეს დილით ლუნდი-ხოტალიდგან გაემგზავრა. დიურანს მიეგება ემირის წარმომადგენელი ეილამ-ხაიდარი ასის მხედარი და ამდონსავე ქვეითი ჯარის კაცით. ინგლისის აფიცერნი ავგანელებმა მიიწვიეს კარავში და გაუმასპინძლდნენ. მისსიამ ნახევარ საათით შეისვენა და მერე ისევ გზას გაუდგა.

ადმირალმა დე-მელლომ ულტიმატუმი გაუგზავნა რიო-ჟანეიროში მყოფთ, დაგვნებდით, თორემ ყუმბარებს დავუშენთ ქალაქს და სულ ავაოხრებთო. აჯანყებულთა გემებით სანტოსში დიდი ჯარი მოვიდა და იქ მედგარი ომი დაიწყო.

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ყვეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

**წერა კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ **დაიცალა** დიდითონეთის სასოფლო სკოლის **მასწავლებლის** ადგილი და, ვისაც სურს ამ ადგილზე განწესება, უნდა გამოგზანოს თხოვნა გამგეობის სახელობაზე. მასწავლებელს ეძლევა ოცდა-ათი თუმანი ჯამაგირი, ბინა საცხოვრებლად და შეშა.

(5—1)




ქ. ოზურგეთსა და ახალ-სენაკში გ. თავართქილაძის-მიერ ახლად გამოცემულია შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხოლერა და იმისი თავიდან ასაცდენი დარიგებანი, დიმ. ერისთავისა . . . . | „ | 10 |
| სამშობლოს სიყვარული, მონტეგაციდან, ს. ყიფიანისა | „ | 5 |
| თეოფ. ხუსკივაძის ნაწერები | „ | 30 |
| საყმაწვილო ბიბლიოთეკა ოცხანელისა, მეორე გამოცემა . . . . . | „ | 5 |
| ამპარტავანი გიორგი, მეორე გამოცემა, გარშინისა . . | „ | 5 |
| ვეფხის-ტყაოსანი სურათით და მოკლე ბიოგრაფიით, მეორე გამოცემა . . . . | „ | 40 |
| სიმონა, ე. ნინოშვილისა . | „ | 30 |
| რამდენიმე მოთხრობა, ე. ნინოშვილისა . . . . . | „ | 50 |

და სხვა და სხვ...

# გამოსადეგი ცნობანი
## პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაშბი ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# პანსიონი ტერ-აკოფოვისა

გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის ოთხის კლასის კურსით

გადავიდა განოვის ქუჩაზედ, № 11, საკუთარი სახლი

იღებს შეგირდებს მოსამზადებლად **გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა და კადეტთა კორპუსებში** მეოთხე კლასამდე, **მიწის მზომელთა და იუნკრების სასწავლებლებში** მისაღებად.

პანსიონთან არის საყმაწვილო ბაღი.

პანსიონში ასწავლიან გიმნაზიის მასწავლებლები.

(8—950—4)




„ნევის კაპრიზე“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ფ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

**„კაპრიზ ნევის“** გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—10)

# ქალთა ტუალეტისათვის



**БЕРЕЗОВЫЙ БАЛЬЗАМЪ**
**Д-РА ЛЕНГИЛЯ ВЪ ВѢНѢ.**

იხმარება პირის-სახისა, კანისა და ხელის დასაბანად.

ამ ბალზამის მომზადების დროს ყურადღება იმასა ჰქონდა მიქცეული, რომ კანის მავნებელი წამალი არ შერეოდა.

ფასი ფლაკონისა 1 მ. 65 კ.

ბენზოევის საპნის თითო ნაჭერი 35 და 50 კ., ოპო-პომადა (კოლდ-კრემსა სჯობია) 1 მან.

შეხვევა და გაგზავნა რუსეთს 70 კ., აზიაში 1 მ.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის В. Аурихъ, въ С-Петербургѣ, Колокольная, 18—19.

იშოვება ყველა სააფთიაქო და პარფიუმერიის მაღაზიებში და ზოგ აფთიაქებშიაც რუსეთში.


Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Сентября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე